

ჩემი გაზეთი

ბაღდათის მუნიციპალიტეტი, ა.ა.ი.პ. ხელოვნებისა და ხალხურის განვითარების ცენტრი

ბერლინში ბაღდათით დაინტერესდნენ

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საქმიანობას რეორგანიზირებული მერია და საკრებულოს ახალი შემადგენლობა წარმართავს. სტრუქტურული ცვლილებები, აიპების დამსხვილება, ახლადარჩეული საკრებულოს 11 სხდომა ... ამ და სხვა საინტერესო თემებზე სასაუბროდ მუნიციპალიტეტის მერს არჩილ გოგასძეს და საკრებულოს თავმჯდომარეს შალვა მშვილდაძეს ვესტუმრეთ და ქვემოთ სწორედ მათთან ინტერვიუს შემოგთავაზებთ.

ახალი საპრებულო 5 კომისიითა და 5 ფრაქციით



– დასრულდა თუ არა რეორგანიზაცია და რა მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა?

– ამ ეტაპზე მერიასა და აიპებში რეორგანიზაცია პრაქტიკულად დასრულებულია, მტკბები დაკომპლექტებულია და იმედი გვაქვს, გაძლიერებული გუნდით კიდევ უფრო მეტს შევძლებთ და გავაკეთებთ. მოხდა გარკვეული სტრუქტურული ცვლილებები - შემცირდა სამსახურების რაოდენობა, შეიცვალა მათი უფროსები. რაც შეეხება სოფლებში მერის წარმომადგენლებს, ადმინისტრაციული სამსახური აქტიურად მუშაობს, რომ მათ ადგილზე შეძლონ საქმიანობა. ეს შეეხება როგორც ადმინისტრაციული შენობების კეთილმოწყობას, ასევე ისეთი მატერიალური პირობების შექმნას, რომ სოფლებშივე მოხდეს დოკუმენტების წარმოება და მოსახლეობის პრობლემების გადაწყვეტა. ჩემი დავალებაა, მათ ყოველი თვის დასაწყისში წარმოადგინონ გეგმა-გრაფიკი, თუ რას აპირებენ თავიანთ სოფლებში და რა კონკრეტული სამუშაოები იგეგმება. მერია კი, თავის

მხრივ, ხელს შეუწყობს მათ საქმიანობას.

აიპების რეორგანიზაციის შედეგად მოხდა დარგობრივი და მიზნობრივი გადაადგილება და ჩამოყალიბდა 5 არასამხარაშრო (არაკომერციული) იურიდიული პირი. აიპები არის მერიის მიერ დაფუძნებული დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომლის ხელმძღვანელებსაც ნიშნავს მერი. უმრავლესობა თვლის, რომ ყველა საკითხი მერთან უნდა შეთანხმდეს. მე, რა თქმა უნდა, ზოგადი მიმართულებით საქმის კურსში ვარ, მაგრამ, რაც მოხდება ამ ორგანიზაციებში, ამაზე პასუხისმგებელი თავად დირექტორია. ხელმძღვანელები უკეთ განსაზღვრავენ და ხედავენ თანამშრომლების საქმიანობასა და მათი თანამდებობის აუცილებლობას, თვითონვე მიიღებენ გადაწყვეტილებას, თუ როგორ და ვისთან გააგრძელონ მუშაობა. ჩემთვის მთავარია, ორგანიზაციებმა თავიანთი მუშაობით განავითარონ მუნიციპალიტეტი, თუ ეს შედეგი არ გვექნება, პასუხისმგებლობა ხელმძღვანელს დაეკისრება.

– გვესაუბრეთ თქვენს მოადგილეებსა და მათ ფუნქცია-მოვალეობებზე.

– პირველი მოადგილის კახა ენუქიძის საკურატორო სფერო არის ფინანსური და ეკონომიკური ბლოკი, ქონების მართვა და ინფრასტრუქტურა. მოადგილე – ფირუზ ბურჯანაძე კი ჯანდაცვას, განათლებას, კულტურასა და ზედამხედველობის სამსახურს კურირებს. ადმინისტრაციული, სამხედრო და აუდიტის სამსახური უშუალოდ ჩემს დაქვემდებარებაშია.

– 2018 წლის ბიუჯეტის შესახებ ვთქვათ, რა პრიორიტეტები გამოიკვეთა?

გაგრძელება მე-2 გვ.



– გვესაუბრეთ საკრებულოს ფრაქციებისა და კომისიების შესახებ ...

– ახალი საანგარიშო წლის დაწყებამდე საკრებულომ უზრუნველყო ყველა საორგანიზაციო საკითხის გადაწყვეტა, საკრებულოში შექმნილია 5 მუდმივმოქმედი კომისია: იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისია (თავმჯდომარე – გვანცა გრძელაძე); საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია (თავმჯდომარე – გურამ კიკნაველიძე); ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია (თავმჯდომარე – სიმონ ქოლოკავა); გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისია (თავმჯდომარე – გიასახაბერიძე); კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია (თავმჯდომარე – ირინა ტყეშელაშვილი). დამტკიცებული სამუშაო გეგმის მიხედვით ყოველთვიურად ტარდება

კომისიის სხდომები და იქ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ საკრებულოს ბიუჯეტის დროს საკრებულოს სხდომებზე განსახილველ საკითხთა დღის წესრიგს.

კომისიებში მუშაობა მიმდინარეობს კონსტრუქციულად, გადაწყვეტილების მიღების დროს გათვალისწინებულია ოპოზიციურ პარტიათა წარმომადგენლების წინადადებები და მოსაზრებები. თემატიკიდან გამომდინარე, ტარდება კომისიათა გაერთიანებული სხდომები (მაგალითად: 2018 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტისა და ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის მიღებისას).

საკრებულოში რეგისტრირებულია 5 პოლიტიკური ფრაქცია, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი საკრებულოს საქმიანობაში. ესენია: 1) ფრაქცია ქართული ოცნება (თავმჯდომარე – მაია კვიციანი), 2) ფრაქცია ქართული ოცნება-მრეწველები (თავმჯდომარე – ფრიდონ მაჩიტაძე), 3) ფრაქცია ქართული ოცნება-კონსერვატორები (თავმჯდომარე – მამუკა გორგოძე), 4) ფრაქცია ქართული ოცნება-მწვანეები (თავმჯდომარე – გაბრიელ ლიბრაძე) და 5) ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (თავმჯდომარე – გიორგი რობაქიძე). ჩვენ ყველა პირობა გვაქვს შექმნილი იმისათვის, რომ ფრაქციებში გაერთიანებული პოლიტიკური ძალებისათვის საკრებულოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული მასალები ხელმისაწვდომი იყოს, დროულად მიენიჭებათ საკრებულოს სხდომებისათვის

გაგრძელება მე-2 გვ.

ინფრასტრუქტურა - 2018 წლის პრიორიტეტი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის შეზღუდული რესურსებისა და მწირი ადგილობრივი შემოსავლების ფონზე ყველა გამოვლენილი საჭიროება ვერ გამოიხატება. ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი.

2017 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტს 11 ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად გამოეყო 3 787 225 ლარი. აქედან 6 პროექტი 2 623 629 ლარით დაფინანსდა წლის პირველ ნახევარში, ხოლო 5 პროექტი 1 163 596 ლარით წლის მეორე ნახევარში. 2017 წელს შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივი ღირებულება არის 3 757 143,56 ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (რგპფ) გამოყოფილი თანხითა და მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით განხორციელდა ხუთი საგზაო, ერთი წყალმომარაგების პროფილის, ერთი ნაპირსამაგრის მოწყობის, ერთი შენობის მშენე-

ბლობისა და ორი ქუჩის კეთილმოწყობის ინფრასტრუქტურული პროექტი: სოფ. პირველი და მეორე ობჩის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. როდინოვოლთან დამაკავშირებელი ს/გზის რეაბილიტაცია 3 კმ-ზე; სოფ. პირველი ობჩაში მთისძირისკენ მისასვლელი ს/გზის რეაბილიტაცია 1,280 კმ-ზე; ბაღდათი-საკრაულას ადგილობრივი მნიშვნელობის ს/გზის საკრაულა-ნიფის 3,1 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია (სამთავე ს/გზის რეაბილიტაცია განხორციელდება ორფენიანი ასფალტო/ბეტონის საფარით). გზების გასწვრივ მოეწყობა ნიაღვარმიმღები არხები და სხვა საინჟინრო ნაგებობა. სოფ. ფერსათიდან სალხინოს ეკლესიასთან

მისასვლელი გზის 0,54 კმ-იანი მონაკვეთის, სოფ. დიშში, მამუკაშვილების შესახვევიდან ეკლესიამდე მისასვლელი გზის 1,5 კმ-იანი მონაკვეთისა და სოფ. კაკასხიდიდან სოფ. ხანამდე 2,1 კმ გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია მოხდა 5 მეტრიანი სიგანის რკ/ბეტონის საფარით. სოფ. ფერსათსა და სოფ. ნითელხევში მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით გაკეთდა სათავენაგებობა, წყალშემკრები რეზერვუარები და მაგისტრალური ქსელი. ასევე განხორციელდა ქ. ბაღდათში ე. თოდაძის ქუჩის საავალი ნაწილის რეაბილიტაციისა და ბაღდათის ქუჩის გზის საავალი ნაწილის გვერდულისა და აგროზაზის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტები. სოფ. დიშში, ადამაძეებისა და გიორგიძეების უბანში, მდ. ხანისწყალზე 207 გრძ.მ-ზე მოეწყობა ნაპირსამაგრი. აღნიშნული სამუშაოების მოწოდებაზე, ელექტრონული ტენდერების შედეგების საფუძველზე, სხვადასხვა ორგანიზაციისათვის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ თერ-

მთეტი ხელშეკრულება, აქედან ერთი ხელშეკრულება გარდაამავალია და სოფ. კაკასხიდიდან სოფ. ხანამდე გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია დასრულდება 2018 წლის 30 სექტემბრისთვის. დანარჩენი ხელშეკრულებების საფუძველზე სამუშაოების შესრულება უნდა დასრულდეს 2017 წელს. შ.პ.ს. „თბ კაპიტალთან“ გაფორმე-

ბული ხელშეკრულებით, სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ბაღდათის რაიონული ოფისის მშენებლობა უნდა განხორციელდეს 2017 წლის 30 ნოემბრამდე, მაგრამ საპროექტო დოკუმენტაციის ხარვეზებისა და

გაგრძელება მე-2 გვ.



